ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №3998126

ნომერი: AR1605090

თარიღი : 31.05.2018

გაცემის თარიღი : 07.06.2018

გაცნობის თარიღი : 07.06.2018

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , დიდი დიღომი; ქალაქი თბილისი , აგრარული უნივერსიტეტის ტერიტორია; ქალაქი თბილისი , აგრარული უნივერსიტეტის ტერიტორია; ქალაქი თბილისი , აგრარული უნივერსიტეტის ტერიტორია; ქალაქი თბილისი , სოფელი დიღომი;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ირაკლი ბოჭორიშვილი პ/ნ 01017011954
- თბილისი გ.რჩეულიშვილის ქ. კორ. 4 ბ. 12

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილება
- III კლასის ობიექტი (სავარაუდო კლასი)

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 30.03.2017 წ. №3174806 ბრძანებით დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილების შეტანის თაობაზე
ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 31.05.2018 წ. #AR1605090 განცხადებით მომართა ირაკლი ბოჭორიშვილმა და მოითხოვა სამსახურის 30.03.2017 წ. №3174806 ბრძანებით დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილების შეტანა, კერძოდ: სამსახურის მიერ განსაზღვრული განაშენიანების რეგულირების ხაზების ცვლილება.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის თანახმად, სამსახურმა შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ

– ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 30.03.2017 წ. №3174806 ბრძანებით ქ. თბილისში, აგრარული უნივერსიტეტის ტერიტორიაზე არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: #01.72.14.014.247, ფართობი: 1000 კვ.მ.) მრავალფუნქციური შენობის (ოფისი, დამხმარე ფართი, კომერციული და სავაჭრო) აშენების მიზნით დამტკიცდა მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები. რის შემდგომაც 04.05.2018წ. №3946648 ბრძანებით განხორციელდა აღნიშნულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილების შეტანა და არსებულ საკადასტრო ერთეულს (ს/კ: 01.72.14.014.247) დაემატას ოთხი საკადასტრო ერთეული:

· საკადასტრო კოდი: 01.72.14.014.248 განცხადების ნომერი: 882010922746 მომზადების თარიღი: 14/12/10 ფართობი: 1000 კვ.მ

· საკადასტრო კოდი: 01.72.14.014.818 განცხადების ნომერი: 882017308779 მომზადების თარიღი: 21/04/2017 ფართობი: 148 კვ.მ

· საკადასტრო კოდი: 01.72.14.014.837 განცხადების ნომერი: 882017479596 მომზადების თარიღი: 07/06/2017 ფართობი: 7 კვ.მ.

· საკადასტრო კოდი: 01.72.14.014.838 განცხადების ნომერი: 882017497306 მომზადების თარიღი: 13/06/2017 ფართობი: 11 კვ.მ

საპროექტო ობიექტად დაფიქსირდა მრავალფუნქციური შენობა: საკონდიტრო, მაღაზია, საცხობი, ოფისი და მათი ფუნქციონირების უზრუნველსაყოფი დამხმარე ფართები, ფუნქციური დანიშნულება: საოფისე, კომერციული, სავაჭრო, დამხმარე და საპროექტო მიწის ნაკვეთს განესაზღვრა განაშენიანების რეგულირების ხაზები.
"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების თანახმად, მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში უნდა აისახოს კანონმდებლობით განსაზღვრული ის სავალდებულო მოთხოვნები, რომლებიც აუცილებელია მშენებლობის განხორციელების დოკუმენტების პროექტების შემუშავებისათვის.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში ცვლილების ან დამატების შეტანის უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს.
საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებების გამოკვლევის შედეგად, სამსახურს ქალაქგეგმარებითი თვალსაზრისით, მიზანშეწონილად მიაჩნია 30.03.2017 წ. №3174806 ბრძანებით დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილების შეტანა და განახლებული განაშენიანების რეგულირების ხაზების განსაზღვრა თანდართული დანართის მიხედვით.

"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57-ე დადგენილების და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად

ვბრძანებ

1. შევიდეს ცვლილება ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 30.03.2017 წ. №3174806 ბრძანებით დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში, კერძოდ:

• განისაზღვროს განაშენიანების რეგულირების ხაზები განახლებული დანართის შესაბამისად (იხ. დანართი);
ჩიხის მხარეს შესაძლებელია განთავსდეს დროებითი ღობე, დადგენილი რეგულირების ხაზს მიღმა, რომელიც მუნიციპალიტეტის საჭიროებიდან გამომდინარე, მისი პირველივე მოთხოვნისთანავე დაექვემდებარება დემონტაჟს.
2. წინამდებარე ბრძანება განხილული იქნას ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 30.03.2017 წ. №3174806, 04.05.2018წ. №3946648 ბრძანებით დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებთან ერთად;
3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

• დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, სამსახურის ტექნიკური პრობლემების ცხელ ხაზზე - 2378346, ან ისარგებლოთ არქიტექტურის სამსახურის ონლაინ კონსულტაციის სერვისით, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი

თვის ვადაში.